



ბრძანება:ბ14.14242538

თარიღი:09/09/2024

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონების პრივატიზებისათვის ვადაგაგრძელებული პირობებიანი
ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე
გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისათვის ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ14.14233465 ბრძანების საფუძველზე, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ელექტრონული აუქციონის ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე გამართულ აუქციონზე საპრივატიზაციოდ გამოტანილი იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული: ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი II ჩიხი №3-ის მიმდებარედ არსებული 239.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.32.02.183).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ14.14233465 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული აუქციონი დასრულდა 2023 წლის 25 დეკემბერს 14:00 საათზე, ისე, რომ არ მომხდარა მითითებული ქონების განკარგვა. ვაჭრობის ნაწილში აუქციონი ჩაიშალა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 119-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად: „თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ქონების განმკარგავი სუბიექტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებით, ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია №05.32.02.183 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონების პრივატიზებისათვის გამოცხადდეს ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „და“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის,

საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულების (ცვლილება: განკარგულება №გ-15.15232722; 29.09.2023 წ) შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული: ქ.ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი II ჩიხი №3-ის მიმდებარედ არსებული 239.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.32.02.183) პრივატიზებისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ14.14233465 ბრძანებით გათვალისწინებული პირობებით.

2. დამტკიცდეს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ვადაგაგრძელებული პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

3. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის ვებგვერდი www.eauction.ge-ს მეშვეობით.

4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

